**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ.ნ., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაური.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** ტირე-ასოებით ახოზე—1 კაპ., ათ-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ამ 1879 წელს გაზეთი „დროება"

ზამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

**ხელის-მოწერა**

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

**გაზეთის ფასი**

| | |
|---|---|
| მთელის წლისა — — | 8 მან. |
| ექვსის თვისა— — — | 5 მან. |
| სამის თვისა — — — | 3 „ |
| ერთის თვისა— — — | 1 „ |

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 9 იანვარს. გუშინ საზამთრო სასახლეში ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა ჩინეთის ელჩები.

ვენა, 8 იანვარს. „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში" სტამბოლიდამ იწერებიან ტელეგრაფით, რომ რუს-ოსმალოს შუა მორიგების პირობის მოლაპარაკების დროს აღმოჩნდნენ მოულოდნელ დაბრკოლებანი, რომლის გამოც, ამბობენ, ამ პირობის შეკვრა დაიგვიანებსო. იმედი კი აქვსთ მაინც, რომ მორიგება, მოხდება.

პეტერბურღი, 9 იანვარს. გუშინ ჩააბარეს იუხანცევს გამამტყუვნებელი აქტი.

პეტერბურღის ბირჟა, 9 იანვარს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — — | 95—75 |
| მეორე— — — — — — | 95— „ |
| მესამესი — — — — | 95— „ |
| მეოთხესი — — — — | 95 — „ |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92—25 |
| აღმოსავლეთის მეორე— | 92—12 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8—47 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „— „ |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | მან. კაპ. |
| პირველი სესხის — — | 231—50 |
| მეორე სესხის — — — | 231—50 |

1 მანეთი ღირს:

| | |
|---|---|
| ლონდონი — — | 23—35 პენსი |
| ამსტერდამი— — | 118— „ ცენტი |
| ბერლინი— — — | 198—50 პფენიგი |
| პარიჟი — — — | 245—50 სანტიმი |
| კავკასიის კერასინი— | 2—10 — |

## საქართველო

**დღიური**

*** ჩვენ არ ვიცით—ნამდვილია ეს ამბავი თუ არა, მხოლოთ ერთს ოდესსის გაზეთში („ოდესსის მოამბეში") იწერებიან, ვითომც ჩვენმა მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ფოთიდამ ბათუმამდინ რკინის გზა არ გაიყვანოს, რადგან ომიანობის დროს ამ გზის გაფუჭება ადვილად შეუძლიან მტერს ზღვიდამაო. ამ გზის მაგიერად, ხსენებული გაზეთის სიტყვით, მთავრობამ გადასდვა კიდევ ორი მილიონი მანეთი ფოთის პორტის ასაშენებლად.

*** გუშინ, სამშაბათს, დილის 10 საათზე, გამოასვენეს სახლიდამ მიცვალებულის თ. სოსიკო ორბელიანის გვამი და ქაშვეთის ეკკლესიაში წესის—აგების შემდეგ წაასვენეს სოფ. კუკიაში დასასაფლავებლად. დიდძალი ხალხი, სამხედრო და საერო, აგრეთვე ჯარები გაჰყვნენ მიცვალებულს სოლოლაკის აღმართამდინ.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ჟურნალის „ივერიის" პირველს ნომერში, რომელიც ამ თვის დამლევამდინ გამოვაო, სხვათა შორის, დაბეჭდილი იქნებაო თ. ი. ჭავჭავაძის ახალი მოთხრობა და იმისივე პოემა „დიმიტრი თავდადებული", რომლის დასაწყისი შარშანდელ „ივერიის" ერთ ნომერთაგანში იყო დაბეჭ-

## ფელეტონი

### როგორი აღზრდა გვეჭირება ჩვენ?

(ვუძღვნი ჩვენ მშობლებს)

(გაგრძელება)

ერთხელ წავიკითხე გაზეთში, რომ ერთი ბრწყინვალე გვამი, სახელმწიფო ფულის მოპარვისათვის ომიანობის დროს, (ეს მაშინ, როდესაც ყველა ჭეშმარიტი მოქალაქე მოვალეა უკანასკნელი წვეთი სისხლიც კი შესწიროს თავის მამულს!) პატიეს იყო აყრილი უბრალო სალდათამდის და გაგზავნილი შორეულ გუბერნიაში; მაგრამ ამ სამართლიანმა და სასტიკმა დაჰსჯამ ვერ დაუშალა იქაურებს მიეღოთ იგი თავიანთ კლუბში წევრად; იგი დაახლოებით გაიცნო იმ ქალაქის ყოველმა წარჩინებულმა პირმა, იგი მიღებულ იქმნა ყოველ ბრწყინვალე ყრილობაში და სხვ.. აი რა დაბლა მდგარა იქ საზოგადო ზნეობითი გახსნილობა და აღზდა?!!.

განა ჩვენში კი ასე არ არის? განა ჩვენში კი დაითვლება ამ გვარი სამწუხარო მოვლინებანი? განა ჩვენ კი, იმის მაგიერათ, რომ სასტიკათ დავსაჯოთ ამ გვარი გვამები და მით განუქარვოთ ხოლმე ყველა ამ გვარი ბოროტების ჩამდენს კეთილი ცხოვრების იმედი, განა ჩვენ კი, ვამბობ, სიხარულით და თითქმის აღტაცებით არ ულებთ კარებს, პატივს არა ვსცემთ და ყველა ამით ხელს არ უწყობთ მათ თავიანთი სამშობლოისადმი ღალატობაში?!!.

ახლა ჰკადრებთ: ამისთანა ხალხში, ამისთანა მოხიბლულ სფეროში, სადაც ასე საშინლათ გარყვნილან და არეულდარეულან ზნეობითი და რჯულის ცნობანი, შეიძლება ჩვენი მოზარდი თაობის ზნეობითი აღზდა?

ეგოიზმს განსაკუთრებით ღრმათ გაუდგამს თავისი ფესვები ჩვენ დედაკაცობაში. ამათ მრავალჯერ ასე ჰგონიათ, რომ მთელი ქვეყანა, მთელი სახელმწიფოს წყობილობა, ყველა სამსახურის ადგილები მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ მათი საყვარელი შვილები ბედნიერად, საამურად და შეუშფოთებლათ ცხოვრობდნენ. ესენი თავიანთ ჯალაბობაში ჰხედვენ მთელ მსოფლიოს; იგინი გულიანად ლოცულობენ, მაგრამ მხოლოდ თავიანთი საკუთარი შვილების ნეტარებისათვის, ე. ი. მათ სიმდიდრეზე, მოძავალ ჩინებზე, ჯვრებზე და სხვა...

ინტერესი მთელი ხალხისა, ანუ რომელიმე საზოგადოებისა, ცივილიზაციისა, ყველაფერი ესენი მხოლოდ იმდენათ არსებობენ მათში, რამდენათაც ამ უკანასკნელებს შეუძლიანთ კეთილ-მყოფილობა მოჰგვარონ მათ შვილებს. თვითონ განათლების საჭიროებასაც უმრავლესობა ჩვენი დედებისა უყურებს წმინდა სპეკულიატურის მხრით და აძლე-

დილი.

⁂ ამ დღეებში მუზიკალურის საზოგადოების ზალაში სომხებმა ითამაშეს სომხურად ნათარგმნი კომედია უ. ალ. თუთაევისა—„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“ ამბობენ, კარგათ წარმოადგინესო..

⁂ ქუთაისიდამ გვწერენ, რომ იქაური ქართული სცენის მოყვარენი ამ მოკლე ხანში აპირებენ უფ. გიორგი წერეთლის კომედიის „ჯიბრის“ წარმოდგენასა.

⁂ გორიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ ახალი წელიწადი იქაურს საზოგადოებას თავის კრუჟოკში უდღესასწაულნია, კარგათ გაუტარებიათ დრო, იოლკა ყოფილა ბავშვებისათვის და სხვა შექცევა; მაგრამ ბოლოს ერთი დამთვრალი პირი გარევია საზოგადოებაში და ამის გამო კინაღამ უკმაყოფილება არ მომხდარა...

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ბათუმი, 30 ქრისტეშობისთვე.** ვგონებ, უკვე დრო უნდა იყოს, რომ ჩვენმა მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამდენ ყველასათვის გამოუაშკარებელ უწესოებას და ამ ცხელ კვალზედვე ენერგიულათ იმოქმედოს.

აი საქმე რასში მდგომარეობს:

თუ არ ვსცდები, არცერთ ადგილობრივ გაზეთებს მისვლიათ ის ცნობები, რომ, სეკტემბერში, ზედა-აჭარიდამ წავიდა ოსმალეთში თვრამეტი წინა-კაცებისაგან შემდგარი დეპუტაცია, რომლებსაც უნდა ადგილები აღმოერჩიათ გადასასახლებლათ ოსმალეთში.

ესენი წასულან ჩვენი მთავრობისაგან მიცემული პაშპორთებით და იქიდამ კი დაბრუნდნენ ოსმალოს პაშპორთებით. აქაც უკვე საკმაოთ იგულისხმება მათი მიზანი.

ამ წასულ დეპუტაციას დიდის სიხარულით დახვედრიან, და როგორც იმათ დამარწმუნეს, ვითომც კიდევაც მიეცეს ოსმალეთს მათი ამორჩეული ადგილები ანატოლიაში, საცა, ამბობენ, იმათი ახალი სამოსახლო ადგილი ძრიელ ჩამოგავს ჩვენი ქვეყნის მდებარეობას და მიწა-წყალსაო; და ამათ გადასახლების საშუალებას თუ ხარჯებისათვის, თუ ცხოვრებისათვის ვიდრე იქ დაბინავდებოდნენ და ახალ მოსავალს მოიმკობდნენ, მანამდის ყველაფერის მიცემას ჰპირდება ხალხიც და ოსმალეთის მთავრობაც. ამისთანა მოწყალებისაგან გამამაცებულები იქიდამ ათასნაირ პროკლამაციებს აგზავნიდნენ აქ მთიულ ხალხში და უქადაგებდნენ, რომ ფეხზე ამდგარიყვნენ რუსების წინააღმდეგ; ამნაირი პროკლამაციების გამავრცელებელი ერთი მოლლა ცხვირ-წინ გვყავდა, მიაგნეს და მოუსპეს ქადაგების საშუალება, რომელზედაც აქაურ ხალხში დიდი ყაყანია ჩამოვარდნილი; უნდათ მოიყარნენ და მთავრობას მოსთხოვონ, რომ ის არ ურდა დასაჯონ, ამ პირველ შემთხვევაში მიუტევონ და დაუბრუნონ ის, რადგანაც ის არის აქ დიდი ვალიდე სულთანის ჯამეს მოლლა არა სურთ, რომ ამისთანა სულის მამა დაჭერილი ჰყავდესთ და სადმე გაგზავნილი....

იმ დეპუტაციის მოქმედების ნაწარმოებმა იბარტყა და საკმარისი კუდი გამოჰყო..

ამას წინეთ უფ. ნიკოლოოზ მეფისაშვილს მისვლია აქედან ბრძანება, რომ საჩქაროთ ჩამოსულიყო ბათუმში. რასაკვირველია, მიღებული ბრძანებისამებრ ჩამოსულა. რომ შეუტყვია ოლქას, რომ წავიდაო, უფიქრნიათ, რით მოვახერხოთ, რომ აქ ნაჩალნიკა აღარავინ ამოგვიგზავნონო! მისულან და მისი ნამყოფი სახლი, სადაც ჰქონია იქვე კანცელარიაც და თავისი თუ სახელმწიფო ნივთები, ვიდრე სამი ათასი მანეთის სალირელამდის, გარდაუწვიათ..

ზემოთ მოხსენებული დეპუტაციიდამ მარტო თუთხმეტი კაცი დაბრუნდა აქ და სამი კაცი იქ დარჩენილა; როგორც თითონ სთქვეს, ვითომც და აქ დარჩენილებს სტამბოლში სწავლის გაგრძელება სდომებოდესთ!...

ახლა ქვემო-აჭარლებიც ერთხმათ იმას ჰყვირიან თურმე, რომ: ჩვენი მთავრობისაგან (ოსმალოსაგან) იმ პირობით არა ვართ რუსებისათვის მიცემული, რომ ჩვენზე ამ პირობით იუფლონო; სხვა-დასხვა. ჩვენ ახლა ჩვენი ქვეყნიდამ თითო სოფელზე ორ კაცს ამოვარჩევთ, გავაგზავნით, მოვთხოვთ სულთანს—რა პირობითაც მიგვცა რუსებს და მერე ჩვენი საქმე ჩვენ გვეცოდინებაო, მინამდი ჩვენთვის სხვა ბრძანებლები საჭირო არ არისო...“

ბურჩხაშიც ერთი ვიღაც აჭარელი გამოჩენილა, რომელსაც თავისათვის გაუხსნია სასამართლო და ხალხს აჯერებს, რომ „მე სტამბოლიდამ დანიშნული ვარ ოსმალოს მთავრობისაგან და მუდირი ვარო, რადგანაც ეს ადგილები რუსებისათვის არ არის მიცემულიო“.

რასაკვირველია, ეს ამბავი ბევრს დიდის აღტაცებით მიუღია და ის ვინც-ღა აჭარელია, ისიც მუდირობს. იქ მყოფ ჩვენ უჩასტკი ნაჩალნიკს იმისთვის მიუწერია და მოუთხოვია რომ „შენ აქ რა პირობითა ხარ, ან რა უფლებითა ხარ, ან ვისი გამოგზავნილი ხარო?“ იმასაც ზდილობიანი სიტყვერით მოკითხვის შემოთვლის შემდგომ შემოუთვლია, რომ: „მეც მთავრობისაგან ვარ დანიშნული, რადგანაც ეს ადგილები რუსეთისათვის არ არის დათმობილი და თქვენც მალე მოგივათ თქვენი მთავრობისაგან მოწერილობა, რომ აქედან გახვიდეთ და ისევ ჩვენ დაგვითმოთო...“

დღეს კი ამნაირი საქმეების მომქმედლებს ვერაფერს უშვრებიან, რადგანაც იქ მყოფ ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებს არაფერი ღონის-ძიება არა აქვსთ, რომ ენერგიით მოიქცნენ...

ყველა ოსმალოს პარახოდის მოსვლის დროს (რომელმანც ამ უკანასკნელში მოსვლა ერთობ გაახშირა) ჩვენს ქალაქში გამოდიან ოსმალოს ჯარის

*) ეს ცნობა „დროებაში“ იყო დაბეჭდილი. რედ.

---

ვენ განათლებას თავიანთ შვილებს არა მისთვის, რომ მხოლოდ განათლებას, და სხვა არაფერს, შაუძლიან მისი შვილი ნამდვილ ადამიანად აქციოს, არამედ მიხთვის, რომ, მათის ჰაზრით, ეს არის ერთი იმ სახსართაგანი, რომელიც მის შვილს გამოიყვანს ხალხში, ანუ უკეთ ვსთქვა, მოსამსახურე პირების დასტაში. ყოველი ჩვენი დედა აუწერელი მოთმინებით ელის იმ ნეტარ დღესა, საათსა და წამსაც კი, როდესაც მისი საყვარელი შვილი გაათავებს უკანასკნელ დაწყევლილ ეგზამენებს და მით ნებას მიიღებს საზოგადო ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლისა. მოუთმენელათ ელიან იმ ჟამსა, როდესაც მათი საყვარელი შვილები შეუდგებიან ცხოვრების თადარიგსა: კეთილად მოაწყონ თვისი საკუთარი ცხოვრება, დაიკავონ სარგებლიანი სამსახურის ადგილები, მოიპოვონ ღირსი (ფულიანი და მრავალ-მზითვიანი) საცოლო და მრავალი სხვა მშვენიერი და ჭეშმარიტათ, სასარგებლო რამეები!...

ყველა ამის შემდეგ კიდევ ვიმეორებ: მრავალი დედ-მამა მოიპოება ჩვენში იმ გვარი, რომელიც წრფელი გულით და არა მხოლოდ სიტყვით, ეუბნებოდენ თვისსა შვილსა ემსახურე, შვილო, ცივილიზაციის, ჭეშმარიტების, კეთილის, შენი სამშობლოის და ხალხის იდეიებს, თუნდა ამ უანგარო სამსახურმა მოიტანოს შენს თავზედ ყოველგვარი უბედურება, სისაწყლე, შეურაცხყობა, ტანჯვა; თუნდა რომ იგი სამსახური დაგიჯდეს შენ საკუთარი უძვირფასესი საუნჯის—„სიცოცხლის შეწირვათაც!..“

სამწუხაროთ, ჩვენში ასე არას დროს არ იქცევიან: ამზადებენ თავიანთ შვილებს არა ამ წუთა და ბილწ ცხოვრებასთან, შეძლებისამებრ, საბრძოლველათ, არამედ მისთვის, რომ იგინი აუშფოთებლათ, გაუნძრეველათ და შეუწუხებლათ გაცურდნენ ცხოვრების მიმდინარეობაში.

თუმცა მრავალ-ჯერ გაიგონებთ: „ილოცეთ, ისწავლეთ, შვილებო!“ მაგრამ აქაც, ჩვენდა სამწუხაროთ, არ შეიძლება ეს სიტყვებიც არ დაუმატონ ხოლმე: „და იქნებით ნეტარნი, მდიდარნი, ჩინებულნი, გამოხვალთ ხალხში, გახდებით ვაჟ-კაცნი, გაიმართავთ კარგა ცხოვრებას“ და სხვა მრავალ ამისთანაებს.. ჩვენი მაცხოვრის სიტყვებს კი ივიწყებენ, რომ ყოველიფერს ამას ეძებენ კერპთაყვანისმცემელნი და სხვა...

ეს ცოტაა. დავაკვირდეთ ამავე ზნეს და ცხოვრებას სხვა მხრით: ერთი შეჰხედეთ ამ მსუბუქათ ჩაცმულ ვაჟებს თუ ქალებს, როგორი გალურჯებული ხელებით და ლოყებით (სიცივისაგან) მაინც კიდევ დარბიან და თამაშობენ ეზოში. მშობლები ყველაფერს ამას დახუჭული თვალით უყურებენ და ის კი არ იციან, რომ ამ გვარი ორი-სამი შემთხვევა საშინელ მავნე გავლენას იქონიებს მომავალში.

აი ბავშვებს უშლიან გაცხარებულ და

ტანისამოსით ხალხი და რომ, ვკითხულობთ—თუ ისინი ვინ არიან, გვეუბნებიან, რომ ისინი ამ რუსეთისათვის დათმობილი ადგილების მცხოვრებლები არიან და იმათ ოსმალოს მთავრობა ანთავისუფლებსო.

უკანასკნელი ახალი ამბავიც: ამბობენ, დღეს ერთ ადგილს ვილაცაები დასხმიან გზის მკეთებელ ბერძნებს, ერთი მძიმეთ დაუჭრიათ და სამუშავო იარაღები წაურთმევიათ...

ქრაზანა

### შენიშვნა

დიდი ხანია, რაც გავიდა ის დრო, როდესაც ჩვენს მშვენიერს და მდიდარს ენას ქართველები უყურებდნენ სიამოვნების თვალით და სცდილობდნენ, რომ თავის შვილებისათვის დასაწყისშივე ესწავლებინათ და მერე, როდესაც შეისწავლიდნენ მას, გაეგრძელებინათ სწავლა სხვა ენებისა და საგნებისა...

განვლო დროებამ, როდესაც დედა სიყვარულით არწევდა თავის ნორჩს ყრმას აკვანში და ეუბნებოდა ნანას, როდესაც თვალ-ცრემლიანი ნანაში გამოურევდა ისტორიულ Iვერიის ცხოვრებას და მით თან-და-თან უნერგავდა პატარა ყრმას გულში მამულის სიყვარულს...

განვლო იმ დროებამ და დადგა ის ჟამი, როდესაც ყოველს ზემოხსენებულს დედის ხასიათს დასცინოდნენ და აქებდნენ იმისთანა ქალს, რომელიც თავის შვილებს ნებას არ აძლევდა ელაპარაკნათ ქართულათ, რომელიც ასწავლიდა მათ სხვა-და-სხვა ენას და მით მოელოდა თავის შვილების ბედნიერებას.

როდესაც გამოეზარდათ მათ შვილები და დაინახეს, რომ არც ერთი ენა კარგათ არ იციან, არ ესმით დედის სიტყვები და არ გრძნობენ იმას, რასაც უნდა გრძნობდეს ივერიელი, მაშინ მხოლოდ შამოიკრეს თავში ხელი და დაიწყეს წუხილი.

ჩვენი მწერლები ამ დროებაში სცდილობდნენ, რომ დაეფუძნებნათ დედა ენის ცოდნა უმთავრეს მოვალეობათ ქართველ კაცისათვის და მით მოესპოთ უაზრო გაზეპირება სხვა და სხვა ენებისა...

მართალია, მათ ერთი მიზანი ჰქონდათ, მაგრამ გზა კი სხვა-და-სხვა...

განაწილდნენ...

პირველათ ისინი შრომობდნენ მამულისათვის და მტერობა ერთმანეთისა ისე არა ჰქონდათ, როგორც მერე, როდესაც გაუვარდათ სახელი და დაიწყეს ერთმანეთის ლანძღვა, და ქართული ლიტერატურა იქამდინ მიიყვანეს, რომ ჩვენი ყმაწვილები ლიტერატურაში ლანძღვის მეტს თითქმის ვერას ჰხედავდნენ.

სწორეთ ამ გარემოების მიზეზი იყო, რომ დაეცა ჩვენი ლიტერატურა, დაიშალნენ ჩვენი მწერლები და პოეტები და წავიდნენ განსასვენებლათ...

მაგრამ უცბათ გამობრწყინდა მზე და გვაგრძნობინა თავისი ნამყოფი სხივები.

დათესილი თესლი ჩვენის მწერლებისა და პოეტებისა წყნარ-წყნარათ იშლებოდა მიწაში, იკეთებდა ძირს და რომ იქ გამაგრდა მზის სიცხოველის გამო, ახეთქა მიწა და გამოვიდა გარეთ.

დავარდნილმა ენამ ახლა აიწია და გავრცელდა მისი სწავლა...

პირველათ რომ რცხვენოდათ ლაპარაკი ქართული ენისა ზოგიერთ ქართველ არისტოკრატებს, ახლა ეჯავრებათ ლაპარაკი სხვა-და-სხვა ევროპიულ ენაზედ, ახლა რცხვენიათ სამშობლო ენის უცოდნელობა და სიამოვნებით მუსაიფობენ ქართულათ. Iმათ ქალებმა, რომელნიც ლაპარაკობენ ოთხ-ხუთ ევროპიულ ენაზედ, დაიწყეს ახლა ანა-ბანა და დიდის გულ-მოდგინებით სწავლობენ თავის დავიწყებულს დედა ენას..

ახლა, რადგანაც გვიარსდება ორიჟურნალი, იმედია, რომ განცალკევებული ლიტერატორები დაანებებენ თავს ერთმანეთის ანგარიშებსა და ლანძღვას და იმუშავებენ იმ მოყვარულ სვინიდისიან მამულის შვილებისათვის, რომელნიც სწავლობენ და თვალ-ყურს ადევნებენ წრფელის გულით დედა ენას და სამშობლო ლიტერატურას და მოელოდებიან იმდროს, როდესაც იმათაც შეეძლებათ მუშაობა თავის მამულისათვის...

. . . . . . . .

მ. ჯორჯაძე

## უცხო ქვეყნები

### ინგლისი და ავღანი

როგორც ამას წინათ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი დეპეშიდამ შეიტყეთ, ავღანის ემირი შირ-ალი გამოიქცა თავის ქვეყნიდამ და ამ ჟამად თურქისტანში უნდა იყოს; იქიდამ თებერვლის დამლევს პეტერბურღში მოელიან. ავღანის გამგებლად კი ამ ჟამად შირ-ალის ვაჟი Iაკუბ-ხანია დანიშნული, რომელთანაც Iნგლისს უკვე დაუწყვია მოლაპარაკება მორიგების თაობაზედ.

შირ-ალი, როგორც ამბობენ, იმ განზრახვით მოდის პეტერბურღში, რომ, რუსეთის საშუალებით, ჰსურს ევროპას წარუდგინოს თავის მდგომარეობა და სთხოვოს Iნგლისთან მორიგება. მაგრამ თითქმის ყველა უცხო ქვეყნის გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ ევროპის სახელმწიფოები ამ საქმეში არ გაერევიანო; ყველაზე უფრო ახლო ეს რუსეთს შეეხებაო და თუ Iნგლისმა მთლად ავღანის დაპყრობა არ მოინდომა, უეჭველია, არც რუსეთი ამოიღებს ხმასაო.

### საფრანგეთი

პარიჟის გაზეთებში დაბეჭდილია ახლა დაწვრილებული ამბავი სენატორების არჩევანისა, რომელიც 5 იანვარს იყო საფრანგეთში.

5 Iანვრის კენჭის-ყრამდინ რესპუბლიკელებისა და მონარხიელების პარტია ასე იყო საფრანგეთის სენატში განაწილებული:

| | |
|---|---|
| მონარხიელები იყვნენ. . . . . | 162 |
| რესპუბლიკელები . . . . . . . | 136 |

მოუსვენარ თამაშობას, ანუ მოკლებულნი თბილ ტანისამოსსა (რომ აიტანონ სიცივე) ინახვენ ცუდ დღეებში შინ, ამისაგამო ბავშვებიც, რასაკვირველია, ვერ მიაღწევენ იმ სიმრთელეს და ძალას, რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდათ მათ სხვა გარემოებათა შორის აღზდაში. თუ ჩვენი შვილები იზრდებიან მუდამ ავათმყოფები და სუსტნი, ჩვენები ყოველის-ფერს ამას უყურებენ როგორც ზეგარდამო ღვთისაგან ანუ რომელიმე წმინდანისაგან, მონასტრისაგან, მკითხავისაგან მოვლინებულ უბედურებას...

აი დედმამა ცდილობს აღძრას შვილებში რომელიმე ქცევანი, ანუ მოსაწონი ხასიათი. ამის გულისათვის იგინი მაშინვე მიიმართებიან მუქარების ანუ საჩუქრებისადმი; ანუ ამაების მაგიერათ ცდილობენ აღძრან ბავშვში სურვილი და ლტოლვა ქ ე ბ ი ს ა დ მ ი. ერთი სიტყვით, ყოველი ამით მშობელნი აძლევენ ყოველ მის ცხოვრებას მხოლოდ გარეგან ხასიათს და კეთილი გრძნობების მაგიერ ვლ'ნით მისში ფარისევლობას, სიმხდალე', თავისის თავის მოყვარებას და სხვისის კი არ დადევნას და სხვა...

აი კიდევ შეჰხედეთ დედას, რომელიც გაკაპასებული და გაჯავრებული ანძრევს თავის ბავშვს იმისთვის, რომ იგი ძუძუს არა ჰსწოვს; ანუ რამდენჯერ მოხდება ხოლმე, რომ ყოვლის დაურიდებლათ ტყლაშანსაც არ ჰზოგავენ. ანუ რის სიმართლის ჰაზრი შაუძლიან ჩაუნერგოს მამამ, რომელიც მივარდება ხოლმე მტირალა შვილს და ცემით ჰკლავს მხოლოდ იმისათვის, რომ მან ფანჯარაში თუ კარებში თითი მოიტანინა, ანუ დანით ხელი გაიჭრა? ანუ რა ხეირი უნდა გამოვიდეს იმ აღზრდიდამ, როდესაც ბავშვს ელის სახლში დასჯა მხოლოდ იმისგამო, რომ ტოლებთან თამაშობაში რამე ფათერაკი აიტეხა? ანუ ვის არ გინახავთ, რომ მშობლები თუ ძიძები ჰსცემენ პატარებს მათის მოუსვენრობისაგამო, რომელიც უთუოთ წარმოსდგება რომელიმე მიზეზისაგან? ანუ რას ნიშნავს ბრაზიანი ხმა მამისა, როდესაც იგი უყვირის შვილებს, რათა იგინი მშვიდათ იყვნენ? ანუ შეჰხედეთ იმ უწმინდურობას და ბინძურობას საცხოვრებელ ოთახიდამ მოკიდებული ვიდრე ეზოს სამზღვრამდის და განსაკუთრებით ოროობეებში და ქუჩებში? ანუ ერთი შეჰხედეთ სასტიკ და თითქმის პირუტყვულ მოპყრობას და შენახვას მოსამსახურეებისა მუშებისა და სხვ, ამისთანა მრავალი.

ახლა მიბრძანეთ —რის მაქნისნი და რის პატრონნი უნდა იყვნენ ამ შხამით მოწამლულ ჰაერში აღზრდილნი შვილნი!?

მართლა და არა-სანუგეშო გარემოებებს წარმოგვიდგენს ჩვენი ცხოვრება ჩვენივე შვილების ზნეობითი აღზდის წარმატებისათვის... მაგრამ გვეყოფა ამაზე ამდენი ლაპარაკი.

(გაგრძელება)

ამ უკანასკნელი კენჭის-ყრის შემდეგ, რომლესაც თითქმის ყველგან რესპუბლი-კელები აირჩიეს, პარტიები ასე არიან სენატში განაწილებულნი:

რესპუბლიკელები . . . . . 177
მონარხიელები . . . . . . 120
ამოსარჩევია კიდევ . . . . 3

სულ—300

ამ ნაირად, როგორც ჰხედავთ, სამას სენატორში რესპუბლიკელებს 60 კაცით მეტი ჰყავთ, ვინემ მონარხიელებს.

რესპუბლიკური გაზეთები, რასაკვირ-ველია, აღტაცებაში არიან ამისთანა კენჭის-ყრით. ბამბეტტას გაზეთს „საფ-რანგეთის რესპუბლიკას“ ყველაზე უფრო ის უხარია, რომ 5 იანვრის კენჭის-ყრა-ში არცერთი ბონაპარტიელი კანდიდატი არ იყო სენატორად ამორჩეული. ყველა ეს რესპუბლიკური გაზეთები ამბობენ, რომ ამ კენჭის-ყრით საფრანგეთის ხალხ-მა ერთხელ კიდევ ცხადათ დაანახვა ქვე-ყანასაო, რომ იმას ჰსურს რესპუბლი-კური მმართებლობის დამყარება თავის სამშობლოშიო და ახლანდელმა მთავ-რობამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურა-დღება უნდა მიაქციოსო.

# განცხადებანი

გვაქვს პატივი გამოუცხადოთ ქუთა-ისის გუბერნიის მოვაჭრეებს, რომელთა-განც ამტელი ხანიც გვქონდა ყველასა-გან მონდობილება და ჩვენის მხრით ყველანი კმაყოფილი არიან, რომ გაგ-ზავნა ფოთი-ტფილისის რკინის გზიდან გატანილი საქონელის 5 ცალზედ ნაკ-ლები 10 კაპ., 5 ცალზედ მეტი, ვიდრე 50 ცალამდინ 7½ კოპეიკი. თუ წვრილი ცალი, ეგრეთვე რკინა და ამგვარი რამეა, ფუთზედ 1 კაპ. ეგრეთვე მაშინიდან გა-მოგზავნა ქალაქში.

სასყიდელი და გასასყიდი ყოველივე გაიგზავნება, მხოლოდ თუმანზედ 25 კაპ. კამისია იქმნება ჩვენი. იმედი გვაქვს ყოველივე საქმე შევასრულოთ რიგიანათ და ამით დავიმსახუროთ ქუთაისის გუ-ბერნიის ვაჭართ ყურადღება.

კანტორა იმყოფება ტფილისში ორ-ხმაზის ქარვასლაში.

გ. თ. რატიანი და ჟ. ი. ჩიქოანი

(3—1)

---

### დაიბეჭდა და ისყიდება საქართველოს
# კალენდარი
### ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამო-ცემული ე. ქ. ხელაძისაგან.

ტფილისში, ყველა წიგნების მაღაზია-ში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუ-თაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთ-ში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთ-მობათ.—

ისყიდება ვ. ჩარკვიანის წიგნის მა-ღაზიაში

---

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „რძალი, გული და მაშენიკები„—ტ ფ ი ლ ი ს ში: გრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვია-ნის წიგნის მაღაზიაში,

ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ს: გიორგი ბარათოვ-თან, გ ო რ ში: ზაქარია დონდაროვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ ში: თ. ვანო თაქთაქოვ-თან, ს ა ქ ა ში ე თ ს: თ. ნიკო დიასამიძისთან ყ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქ უ თ ა ი ს ს: კ. მესხის წიგ-ნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, ს ა მ-ტ რ ე დ ი ა ს: იორდანე სიხარულიძესთან, ფ ო თ ში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუ-თაევის მეორე კომედია.—„ცოლი ვი-ტირო, თუ ფული?“

---

### ვართანოვის წიგნის მაღა-ზიაში ისყიდება:

**დედა-ენა**, ანუ ანბანი და პირ-ველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგე-ნილი ი. გოგებაშვილისაგან, მეო-რე შესწორებული გამოცემა. ფა-სი ექვსი შაური, ყდაში გადაკრუ-ლი ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერ-ძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთ-მობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათა.

**ბუნების კარი**, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარე-ბელი, მესამე გამოცემა, შევსე-ბული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ვისაც ჰსურს ყდაში გადაკრული ვიყიდოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

**საყმაწვილო კონა** პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნე-ბის მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

**პატარა ბიბლიოთეკა**, პირვე-ლი წიგნი, შეიცავს სამს საყმაწ-ვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.

აქვე ისყიდება ყველა ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები.

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 96 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოსტა

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კა-ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი-სიდამ: ტფილისისა და ფოთის კენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურ-გეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნია . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 4 იანვარს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 75 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 40 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 11 | — |
| მატყლი თუშური ფუთი | 7 | 30 |
| —თარაქამისა ფუთი . . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 30 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 13 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 80 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 8 | 20 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ჩაი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 70 |

### ტფილისის სამკურნალო:

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბა-რ. ლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩა-რიანცი—საჯარო ექიმი და საშვი-ლოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—ში-ნაგ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავ-შვის, პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი ში-ნაგანი.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—ში-ნაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკუ-რი და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 10 Генваря 1879 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.